№ 3.

# ივერია

წელიწადი პირველი

17 მარტს 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.
ათი თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად. . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. სლავიანების მოძრაობა სერბიის დამარცხებიდამ დღეისამდე.—II. საქართველოს მატიანე—III. ორი ლექსი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა. —IV. ცხოვრება და კანონი, წერილი მესამე.—V. მოკლე მიმოხილვა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის: ავსტრი-ვენგრია, გერმანია. —VI. ქალაქის სცენები ერთის დღის აღწერისა: სცენა 3.—VII. განცხადება.

## სლავიანების მოძრაობა სერბიის დამარცხებიდგან დღეისამდე *).

სლავიანების აწინდელის მოძრაობის შინაგანს თვისებას რომ დავაკვირდეთ, ცხადათ დავინახავთ, რომ მისგან წარმომდგარის საქმის აღსრულებაზედ ადვილი არა არის რა. სლავიანთა გულის წადილი ის იყო რომ გამოსულიყვნენ ოსმალეთის მფლობელობიდგან, აეცილებინათ თავიდგან ის მმართებლობა, რომლის უმსგავსობა და უსჯერობა ყველასათვის ცხადია. მთელმა ევროპამ ნათლად დაინახა რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი ხალხი საშინელს მწუხარებაშია და ამ მწუხარების შემსუბუქება თვითონ ოსმალეთისაგან მოულოდნელია. მაშასადამე ევროპის სახელმწიფოებისათვის, რომელთაც სლავიანის ხალხმა მიმართა თავისი ვედრება, ყოველთვის შესაძლებელი იყო ზემოხსენებული წადილი სლავიანებისა აესრულებინათ. რას უზამდა ოსმალეთი მთელს ევროპას? მის ერთ ხმიანს სურვილს და ძალდატანებას სად წაუვიდოდა? მაგრამ უბედურება ის არის, რომ საზოგადო კაცობრიულ გრძნობას, რომელიც ევროპას მოვალედ ხდიდა ამ საქმეში ჭეშმარიტი მონაწილეობა მიეღო, მოჰყვა კიდევ სხვა გარემოებაც, ამ ჟამად უფრო ძლიერი ვიდრე კაცობრიობის უანგარო სიყვარული. ვიმეორებ: რატომ არა ჰქმნა ევროპამ ის, რაც მისთვის ადვილად შესაძლებელი იყო, რასაც კისრად ჰსდებდა მას მისი განათლება, მისი ჭკუითი და ზნეობითი სიმაღლე?

სხვა და სხვა სახელმწიფოთა საპოლიტიკო ისტორიაში ერთი გარემოებაა დიდად შესანიშნავი,—ეს არის საპოლიტიკო სიფრთხილე, რომ ერთმა მეორეს ძლიერებაში არ გადაამეტოს. როდესაც რომელისამე სახელმწიფოს სივრცე მატულობს, იმ წამსვე მისი მეზობელი ყურს აცქვეტს და თვალს იჭერს მე არ გადამემეტოსო, შემდეგ თავისი მსუნაგობა ჩემკენ არ მიჰმართოსო. ამ თვალით უყურებს დიპლომატია ყოველს საპოლიტიკო მოვლენას; ამ თვალითვე შეხედა მან სლავიანების მოძრაობასა.

რა ფიქრები აღუძრა ავსტრიას ამ მოძრაობამ, წარსულ წერილში იყო მოხსენებული. გარდა იმისა, რომ ჩემი სლავიანები ოსმალეთის სლავიანების მიბაძვით წინა არ აღმიდგნენო, ავსტრიას ეშინოდა, აგრეთვე, რუსეთმა ან სერბიამ ამ მოძრაობით არა იგდოს რამეო, და მათ სივრცემ და ძალამ არ იმატოსო.

ინგლისსაც ეგდა ეცა. მხოლოდ ამას საპოლიტიკო სიფრთხილის გარდა სხვა მიზეზიც მოჰყვა. ინგლისის ეკონომიური ძალა დამყარებულია სარეწავს შრომაზედ. დიდ-ძალი მუშა-ხალხია მის ქარხნებში და დიდ-ძალი მასალა უნდა შემოზიდოს სხვა ქვეყნებიდგან, რომ ამდენი ხალხი ამუშავოს, რადგანაც ქარხნის მუშას, თავისი მკლავების მეტი, არა ვითარი სხვა საშუალება არა აქვს მოიპოვოს საცხოვრებელი საზდოება. ეს შეუმუშავებელი მასალა ინგლისს გამოაქვს, სხვათაშორის, ოსმალეთიდგანაც. ოსმალეთის სახელმწიფო არა ვითარ ღონისძიებას არა ხმარობს სარეწაოებს თვისი ადგმევინოს თავის ქვეყანაში და თავისივე მასალა შინვე შეიმუშაოს. ამით სარგებლობს ინგლისი და გააქვს ოსმალეთიდგან რის გატანაც კი

*) „ივერია“ № 2.

ჰქუხდიან. მეორის მხრით, ინგლისმა იცის, რომ თუ ოსმალეთის ნაცვლად სხვა სახელმწიფო დაარსდა ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, უეჭველია ხელიდგან გაეცლება ამ ნახევარ-კუნძულის მდიდარი ბუნების ნივთიერება, რადგანაც სხვა სახელმწიფო თვითონვე ისარგებლებს და თვითვე შეიმუშავებს ყოველს თვის მონაგარსა. რაღა უნდა ჰქნას მაშინ ინგლისმა? რითი უნდა გაამძღოს თავისი აურაცხელი მუშა ხალხი? თუ არ გაამძღობს და სამუშაოს არ მისცემს, ვინ იცის რა ვაივაგლახი და არეულობა შეუდგება თვით ინგლისის სახელმწიფოს? იქნება, რასაც ეხლა სახელმწიფო თავის ნებით არ აძლევს ხალხს, მაშინ ძალდატანებით წაერთვას მას? თუ ხალხს ცხოვრების ილაჯი უწყდება ვინ იცის თვით სახელმწიფოს რა დაემართება? აი რა ფიქრები აეშალა ინგლისს, როდესაც გავარდა ხმა სლავიანების აჯანყებისა.

გერმანია რაღასა ფიქრობდა? ამისი კი არა ვინ არ იცოდა რა. თითქმის მთელი ევროპა ჰაერში შესცქეროდა გერმანიას, მაგრამ ვერა შეიტყო რა იმის მეტი, რომ გერმანიას მშვიდობიანობის დაცვა უნდაო. ამ სიტყვას, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა რა, და არც ახალი ამბავი იყო. მხოლოდ ყველამ კი იცოდა, რომ გერმანიას, ღენერალის მოლტკეს სიტყვით, შეძლება აქვს და მზათაც არის ერთსა და იმავე დროს ორი დიდი ომი გადიხადოს. ეს უშველებელი სამხედრო ძალა, მართლა რომ საშიშია ყველასთვის. თუ ავსტრიის საქმე ცუდათ წავიდა, იქნება გერმანიამ წაართვას მისი ის ნაწილი, სადაც ნემეცის ტომია? ესეც ფიქრში მოსასვლელია, რომ გერმანიამ ჯერ ხელი მოუმართოს ავსტრიას და, როდესაც იგი გაანემეცებს თავის სლავიანებს, მაშინ მოგვერდი უგდოს.

რაც შეეხება საფრანგეთს, იგი ისეთ ნაირად გართული იყო თავის შინაურ საქმეებში, რომ არავითარი შესანიშნავი მონაწილეობა არ მიუღია გარეგან საპოლიტიკო ცხოვრებაში.

ერთის სიტყვით, თუმცა თვითვეულს ევროპის სახელმწიფოებს სხვა და სხვა ტკივილი აეშალა, მაგრამ მათ შორის ერთი იმისთანა ტკივილი იყო, რომელიც საერთოდ ყველას ეკუთვნოდა: ვინიცობაა ოსმალეთის სახელმწიფო დაიშალოსო, ვინ რა უნდა ირგუნოსო, როგორ დავიყოთო? რადგანაც ამ საგანზე ერთმანეთის დაყოლიება და დათანხმება თითქმის შეუძლებელია ამის გამო ყველა სახელმწიფო მარტო იმას ფიქრობდა აგებ როგორმე ჩქარა მოვუღოთ ბოლო მოუსვენარს სლავიანების არეულობასაო რომ ოსმალეთი ისევ ისე ხელუხლებლად დარჩესო ვიდრე დროთა ვითარებანი გამოიცვლებიანო.

როდესაც რუსეთის თაოსნობით სერბიისა და ოსმალეთის შორის დროებით შერიგება ჩამოვარდა, ინგლისმა სხვა სახელმწიფოებს უძღვნა წინადადება, რომლის ძალითაც შეიყარა სტამბოლში კონფერენცია, ე. ი. ყველა უპირატესთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კრება. ამ კრებას უნდა მოეპოებინა ის ღონისძიება, რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო სლავიანების არეულობის მოსპობა და ორივე მეომართა მხარეთა დაკმაყოფილება.

რა უფლებით გაერია ევროპა ოსმალეთის შინაურს საქმეში? საქმე ის არის რომ პარიჟის შეკრულობის (ტრაქტატის) ძალით ევროპის უპირატესნი სახელმწიფონი თავდებათ დაუდგნენ ერთის მხრით ოსმალეთს, რომ მისი სახელმწიფო, მისი სამფლობელო დაურღვეველი უნდა დარჩესო; მეორის მხრით სლავიანებს, რომ ოსმალეთმა უნდა მოახდინოს ცვლილებანი მათის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებისათვის. რადგანაც ოსმალეთმა აღსრულებაში არ მოიყვანა თავისი ვალდებულება, ევროპას სრული უფლება ჰქონდა, ამ შეკრულობის ძალით, გარეულიყო ოსმალეთის საქმეში და სლავიანთათვის შუამდგომელობა ეკისრა.

30 ნოემბერს 1876 წ. დაიწყო კონფერენციამ თავისი წინ-სამზადისი მუსაიფი.

ოსმალეთმა კარგად იცოდა, რომ ამ კონფერენციიდგან არა გამოვიდოდა რა. ადვილად საფიქრებელია აგრეთვე, რომ თვითონ დიპლომატია ამაზედ გულდაჯერებული ყოფილიყო. მართლა და რა უნდა გამოსულიყო? კონფერენცია შეიყარა იმ განზრახვით, რომ ოსმალეთი დაეყოლიებინა სლავიანების კეთილმდგომარეობის დადგენისათვის, ესე იგი, შეეკრიბა მისთვის, რომ გამოეკვლიავის ცვლილებანი, რომელნიც აუცილებლად უნდა მოეხდინა ოსმალეთს სლავიანთა სასარგებლოდ. ის კი აღარ მოიფიქრა დიპლომატიამ თუ როგორ უნდა მოიქცეს, ვინიცობაა ოსმალეთმა უარი ჰყოს ყოველი მისი წინადადებს. ოსმალეთმა კარგად იცოდა თავის მდგომარეობა, კარგად გრძნობდა, რომ ევროპის სახელმწიფონი მხოლოდ იმ დრომდის არიან თანახმანი, ვიდრე სიტყვა საქმეზედ არ მიმდგარა. ამიტომაც ყოველ წინადადებას კონფერენციისას სლავიანების შესახებ ოსმალეთი უარს ჰყოფდა; ამიტომაც კონფერენცია თან და თან ჰსთმობდა, ქვევით-ქვევით იწევდა და ბოლოს იქამდინაც მივიდა, რომ ანდრაშის ცვლილებანიც ველარ დააკისრა ოსმალეთსა. ოსმალეთი იძახდა, რომ პარიჟის შეკრულობის ძალით ჩემი უფლება, ჩემი მფლობელობა დაურღვეველიაო; ჩემ სახელმწიფოში რაც მსურს, იმას ვიქმო. ევროპა, თავის მხრით პასუხს უგებდა, რომ პარიჟის შეკრულობის ძალით ოსმალეთი ვალდებულია სლავიანებისათვის ცვლილება რამ მოახდინოსო. მაგრამ თავდებობა და ხელ შეკრულობა კი უნდა დაედო ევროპის დასაჯერებლად, რომ მართლა მაგ ცვლილებას

მოახდენდა და მით სლავიანების ბედს როგორმე შეღავათს მიჰსცემდა. ყოველი ამგვარი ხელშეკრულობა ბოლოს იმას მოასწავებდა, რომ ხონთქრის უფლება უნდა დარღვეულიყო, და მაშინ რა ეშველებოდა ევროპას? ყველა ამ მიზეზთა გამო კონფერენცია გულმოდგინედ ვერ მოეკიდებოდა საქმეს. მართლადაც კონფერენცია ისე იქცეოდა თითქოს მარტო იმისთვის შეიყარაო, რომ მასლაათი გაეწიათ, განგებ არა გაერიგებინათ რა; რომ ამასობაში ილაჯ გაწყვეტილთა სლავიანთა მოსწყენოდათ მათგანვე დაწყებული საქმე და აგებ ძალაუნებურად სასო-წარგვეთილების გამო თავიც დაენებებინათ. წინად გვსთქვით, საბუთიანი და მაგარი ჩელშეკრულობა ოსმალეთის სახელმწიფოს დაარღვევდაო. ამ საგანზედ რომ კონფერენციის წინადადება გავსინჯოთ, ეგ აზრი სწორედ მართალი გამოვა. კონფერენციას სურდა მიეჩინა ოსმალეთისათვის კომმისია და მისთვის მიენიჭებინა უმთავრესი ზედამხედველობა, რომ ოსმალეთს თავისივე დაპირებული საჭირო ცვლილებანი სწორედ და უტყუარად მოეხდინა. ნახევარი წევრნი ამ კომმისიისა ოსმალონი უნდა ყოფილიყვნენ და ნახევარი ევროპიელნი. რა იყო ეს კომმისია, თუ არ ერთს მთავრობაზედ წამომდგარი მეორე მთავრობა ერთსა და იგივე სახელმწიფოში?

ვიდრე დიპლომატია მასლაათში დროს ატარებდა, ოსმალეთმა წინ ასწრო და გამოუცხადა თავის ხალხს კონსტიტუცია. „მობრძანებულხართ, ბატონებო,—ეუბნებოდა ოსმალეთი ევროპას, და მომდგომიხართ—გინდა თუ არა ანდრაშის წინადადება მიიღეო. საცა კონსტიტუციაა რაღა ანდრაშის პროექტი უნდა, მით უფრო რომ იგი გროშად არა ღირსო“. ამ რიგად ოსმალეთმა დიდის მოწიწებით ზურგი შეაქცია კონფერენციას და შინისაკენ მშვიდობით გაისტუმრა.

სლავიანების განთავისუფლებაღაო იკითხავს მკითხველი. ეს საქმე დიპლომატიამ ჯერჯერობით დროთა ბრუნვას მიანდო.

დაღალული, დაქანცული, ღონე მიხდილი სერბია დამარცხებული და ყველასაგან თავდანებებული, იძულებულ იქმნა ოსმალეთს შერიგებოდა. შეურიგდა კი, მაგრამ ვინ იცის რამოდენა ხანს გასწევს ეგ შერიგება. გამარჯვებული ჩერნოგორია კი მაგრად დგას და არა რიგდება ჯერ ოსმალეთსა.

თვითვეულთა სახელმწიფოთა ანგარების მახეში გაბმული სლავიანების მოძრაობა თავს გაიტანს თუ არა მომავალი გვიჩვენებს.

---

## საქართველოს მატიანე

„დროების“ 28 და 29 №№-ში დაბეჭდილია ფრიად შესანიშნავი ამბავი შესახებ კახის სასწავლებლისა. ამ ამბავს იწერება თვით სასწავლებლის ოსტატი, უფ. როსტომაშვილი, რომელმაც, რასაკვირველია, კარგად უნდა იცოდეს თავისის სასწავლებლის გარემოება და ამის გამო ყოველი, რასაც იგი იწერება ამ საგანზედ, სარწმუნო და დასაჯერი უნდა იყოს. ეს ამბავი ცხადად გვიმტკიცებს იმ მსჯელობის სრულს სიმართლესა, რაიც გამოთქმული იყო „ტფილისის მოამბეში“ შესახებ იმ სასწავლებლებისა, რომელნიც ეკუთვნიან კავკასიის ქრისტიანობის აღმადგინებელს საზოგადოებასა. უფ. როსტომაშვილი გვაუწყებს, რომ იმ საშუალებით, იმ ღონისძიებით, რაც კახის სასწავლებელსა ჰქონდა და აქვსო, იმ ფულით რასაც დღეს მასზედ ხარჯავს ზემოხსენებული საზოგადოებაო, სასწავლებელს იმისი მეათედი სარგებლობაც არ მოუტანია, რისაც მოლოდინი უნდა გვქონოდაო. კახის სასწავლებელი არსებობს რვა წელიწადი. ოთხ წელიწადში სამოციდამ ოთხმოცამდე მოწაფის გაწვრთნის შეძლება ჰქონდა თურმე, მაგრამ ამ რვა წელიწადში მხოლოდ ხუთმეტიოდ მოწაფეს შეუსრულებია სწავლა, რომელთა შორისაც ნასამედმა თითქმის არ იციან ის, რაც სასწავლებელს შეეძლო მათთვის მიენიჭებინაო.

რა მიზეზია ამ უნაყოფოდ მოქმედებისა? რისგან უნდა მომხდარიყო, რომ უკეთესმა, ყოვლის ღონისძიებით სრულმა, ერთობ ჩინებულად მომართულმა სასწავლებელმა, რომელსაც მშვენიერი ქვით-კირის სახლი აქვს, ფართო ეზო, რიგიანი ბაღის ადგილი, რომელზედაც ქველის-მოქმედი საზოგადოება ყოველწლივ ოთხმოცდაათს თუმნამდე ხარჯავდა, რომელსაც კარგად მომზადებული ოსტატები არ აკლდა,—რისგან უნდა მომხდარიყო, ვამბობთ ჩვენ, რომ ამისთანა სასწავლებელმა ესეთი უხეირო და უნუგეშო ნაყოფი გამოიღო? რისგან უნდა მომხდარიყო, რომ ამისთანა სასწავლებელმა რვა წელიწადში მხოლოდ ხუთმეტს შეაძლებინა სწავლის შეთავება ისიც ისე, რომ მათგან მესამედსაც მაგდონი ვერაფერი უსწავლია? ამისი მიზეზი ერთად ერთი რამ არის, სახელდობრ, დედა-ენის შუამდგომლობის უარ-ყოფა პირველ დაწყებითის სწავლის მსვლელობაში. ბუნებამ სასტიკი და პირ-უთვნელი დასჯა იცის, როცა მის კანონსა და წესს

ღალატობენ. დედა-ენის განდევნა სასწავლებლებიდამ ბუნების წინააღმდეგია და რაც უნდა კაცმა იხერხოს, ბუნება ამ წინააღმდეგობას არავის დაუთმობს. როგორც შეუძლებელია წყლის ასვლა აღმართზედ, ისე შეუძლებელია მსვლელობა სწავლისა სასახლო სასწავლებელში უდედა-ენოთ. უამისოდ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ყოველივე ხარჯი წყალში გადაყრილია. დღეს თუ ხვალ უფროსნიც ამ აზრზედ დადგებიან, იმიტომ, რომ კავკასიის სასწავლებლის მაგალითი ბრმასაც აუხილებს თვალსა. მაგრამ ვაი რომ იქამდის დრო და ხარჯი უქმად ჩაივლის.

—

ტფილისში ახალი თეატრის აშენება გადაწყვეტილი საქმეა და ამ ორ-სამ წელიწადს სრულად გათავებულიც იქნება. რას უზმენ ეხლანდელს საზაფხულო თეატრსა, ზამთრობით მაინც, თუ არ ზაფხულობით? ზამთარში ხომ იგი სრულად უქმად იქნება. ვითომ რა დაუშლის, რომ იქ ქართული და სომხური თეატრი სამუდამოდ გაიმართოს! ნუ თუ ჩვენში არავინ არ გამოჩნდება, რომ მთავრობის წინაშე ამის გამო ჯეროვანი შუამდგომლობა იკისროს? საზოგადოების ზნეობის და გონების აღმატებისათვის, განვითარებისათვის თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს. მწიგნობრობა ცხოვრებას ყურით გვაყურებინებს,—თუ ესე ითქმის,—თეატრი კი თვალითა, იმიტომ-რომ ცხოვრების ავ-კარგიანობას თვალ წინ გაგვიტარებს ხოლმე. თუნდ მეტი არ იყოს დიდი რამ არის ჩვენისთანა სახლისათვის, რომ მისს ღვიძლს-ენას, მის დედა-ენას ერთი საჯარო ადგილი ჰქონდეს ვარჯიშობისათვის და ცხოველად მოქმედებისათვის. თეატრი ერთ მხრითაც გვიშველის და მეორე მხრითაცა. კარგი იქმნება, რომ ეს ეხლანდელი „საზაფხულო თეატრი“ მთავრობას გამოვჰსთხოვოთ ქართულისა და სომხურის წარმოდგენათათვის.

—

ჩვენ შევიტყევით, რომ ეხლანდელი ტფილისის მაზრა ორად იყოფაო: ყაზახ-ბორჩალოსაკენ თურმე ერთი ცალკე მაზრა უნდა გაიმართოსო, თავისის ცალკე მაზრის უფროსი ჰყვანდესო და თავისი ცალკე მაზრის გამგეობა დაუწესდესო. ჯერ ხანად ეგ გაყოფა დროებით იქნებაო. დიდი-ხანია საჭირო იყო ამგვარი განკარგულება, იმიტომ-რომ ტფილისის მაზრა მეტად დიდია და ამისგამო მოვლა მისი ერთს უფროსს მაზრისას უძნელდება. ტფილისის უეზდი მთელის გუბერნიის მეოთხედზედ მეტია ($26\frac{1}{2}\%$), ცხრა ათას სამას ოცდა ორი (9,322) ოთხ-კუთხე ვერსტის ანუ $192\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხე მილის სივრცე უჭირავს; სამჯერ მეტია დუშეთის მაზრაზედ, (78 ოთხ-კუთხე მილია), ორჯერ მეტია სიღნაღის მაზრაზედ (98 ოთხ-კუთხე მილია), ორჯერ მეტია ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრებზედ ერთად (99 ოთხ-კუთხე მილია), კარგა მეტია გორის მაზრაზედ (123 ოთხ-კუთხე მილია), აგრეთვე მეტია თელავისა და თიანეთის მაზრებზედ ერთად (145 ოთხ-კუთხე მილია). მცხოვრებთა რიცხვი ტფილისის მაზრისა ოც-და-ათი ასეულია (30%) მთელის გუბერნიისა, ესე იგი, თითქმის ერთი მესამედია. თუმცა ისე მჭიდროდ არ არის დასახლებული (შვიდს ოთხ-კუთხიანს ვერსტზედ მოდის რვაას თვრამეტი (818) სული, როგორც სხვა მაზრები, მაგრამ მით უფრო ძნელი მოსავლელია, რადგანაც მცხოვრებნი დიდს სივრცეზედ არიან გაფანტულნი.

—

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია მთავრობისაგან დამტკიცებული ფასი სახაზო მარილისა კავკასიის ამიერ მხრისათვის: მარილის ქვა ფუთი სამი შაურია, ფხვნილი მარილი ფუთი რვა კაპეიკია.

—

პეტერბურღის ბირჟის გოფ-მაკლერის საქმიდამა ჰსჩანს, რომ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცელნი 1-ს თებერვლიდამ გამოჩენილან ბირჟაზედ გასასყიდლად.

—

ერთი რუსის გაზეთი (Финансовое обозрѣніе) გვაუწყებს, რომ ბაქოს გარემემოში ორი შაქრის ქარხანა შენდებაო, ერთი ბაილოვისა და მეორე ზიგის ზღვისყურესთანაო. ამ ქარხნებში შეშის მაგიერ თურმე ნავთი უნდა იხმარონ; შაქრის ლერწამი მაზანდარანიდამ უნდა ზიდონო. ამ ქარხნების შაქარი ერთობ აზიის ბაზრებისათვის არის დანიშნულიო.

—

„კავკასის“ 46 №-ში წავიკითხეთ წიგნი რედაქტორთან მიწერილი უფ. ლისაჩოვის მიერ, რომელიც კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების სასწავლებელთ ინსპექტორია. ამ წერილში უფ. ლისაჩოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართულის ენისათვის მას არა ვითარი დაბრკოლება არ

მიუცია და კიდევაც გაგზავნა სასწავლებლებში იანვრის შემდეგ ქართული სახარება და „დედა-ენა". ეს ფიცი კი გვწამს, მაგრამ ბოლო გვაკვირვებს. აი ამ საგანზე რასა გვწერს თებერვლის დამდეგს ერთი სახალხო სასწავლებელთან ახლო მდგომელი პირი, რომელსაც არა გვითარი მიზეზი არა გვაქვს, სიტყვა არ დაუჯეროთ: „ამასწინეთ აქ იყო ლიხაჩოვი, რომელიც სტრელეცკის მაგივრად არის დანიშნული, და ეს სიტყვები უბრძანა მასწავლებლებსა: „დაანებეთ თავი თქვენს ენას, ჯანაბას დაიკარგოს".— სამშობლო ენისათვის უროკები არ არის დადებული, და სახელმძღვანელო წიგნები სასწავლებლებში არ მოიძებნება.—დედ-მამანი მაგრე რიგად არ თანაუგრძნობენ სასწავლებლებს იმ მიზეზის გამო, რომ დედა-ენას არ ასწავლიან, რის გამოთაც თავში მტკიცედ უზისთ გულებში ის ჰაზრი, რომ სალდათათ წაყვანა უნდათ ჩვენი შვილებისაო და ამის გამო მარტო რუსულს ასწავლიანო." რაც შეხება სახარების და „დედა-ენის" გაგზავნას თებერვლის გასულს, ეგ მართალია, მაგრამ ათიოდე ეგზემპლიარის მიწოდება სასწავლებლებში სადაც ორასამდის ქართველი ბავშვი სწავლობს, რაიმე ხელმოსაჭიდებელ საბუთათ თუ გამოდგება, თორემ ენის სწავლას კი ეს, ცხადია, ვერას დაუხმარებს.

---

## ლექსნი თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

I

— ეს სოფელი სამყო მძნელი, მხვეწნებელი ჭმუნვის ალთა!..
რა ვიშვებით, მყისვე ვჰსტირით, ვით წინად-მგრძნნი მოსავალთა,
მოვიზდებით წიგნის კითხვით არ გაგვიშრობს მწვრთელი თვალთა,
ჟამი გვირბის, იგი გვიძსნის, შეუდექით სიბრძნის კვალთა.
რა ჭასაკსა შევალთ, ახლად ჭირი უფრო გვემრავლების:
თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას ემსჭვალვების,
სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვის მებრ ნების,
და გულს შეგვიქმს პატიმარად, მკვნესარად და მთქმელად ვების.
ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:
არა ვჰკმაობით საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა;
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;
რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, შეგვექმნების შურით ჭმუხვა.
ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით ქედსა მშვიდლებრ მოვიხრებით,
ორველთავე მოვმაგდებით, ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით,
სიკვდილისა წინა-მძღვარად მოვლენ სენნი მახვილ-ლებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყვის, „ასხით ნაშვნო, მოკვდით ვებით!"

II

ეჰა ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომიდგინე
და ძასი მცნობთ ჩვენებათ უზრალოდ რად მომივინე?
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა,—
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკბობელთა,
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა
და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მიბრუნა.

ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი;
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სისარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული.

---

## ცხოვრება და კანონი.

—

### წერილი მესამე.

ჩვენ წინა წერილებით ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ წილზედ-ჭურა მამულისა: 1) მიზეზიანი და სადავიდარაბო უფლება-მოვალეობაა ორთა წოდებათა შორის; 2) ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენილი იმ სახით მაინც, რა სახითაც იგი გლეხთა განთავისუფლების დებულებამ ჩვენში შემოიტანა; 3) ეკონომიურის მხრით, თუმცა ყმობაზედ ბევრად უკეთესია, მაგრამ მაინც მავნებელია; 4) მიწის-ჭურაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზედ მტკიცეა, თვით რჯულია და 5) ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქმნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭურის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია.

რომ ნაყმევის მიწის-ჭურის შესახებ ცვლილება საჭიროდ დანახულია თვით მთავრობისაგანაც,—ამას ცხადად გვიმტკიცებს 172 მუხლი (*) გლეხთა განთავისუ-

---

(*) აი ნამდვილი სიტყვები 172 მუხლისა: „კავკასიის ნამესტნიკსა მიენდობა დასდვას კანონნი მოყვანისათვის ცნობაში გარდასახადთა რაოდენობისა მიწისა მოსავლითა გლეხთა მინდვრის მიწათაგან და ძალთაგან; გარდასახადნი ესენი დაესდეს შეულად შეთანასწორებით ადგილობრივთა მოთხოვნილებათა ნამდვილისა მოსავალთა ღირებულობისა და დაწესდეს ამ დათვლებით გარდასახადი მოხსენებულთა მინდვრის მიწათა და ბაღთათვის."

ფლების დებულებისა. მაგ მუხლში გამოცხადებული მტკიცე განზრახვა მთავრობისა მიქცეული მასზედ, რომ წილზედ-ჭერა მამულისა — ეგ სადავიდარაბო, წინადვე განუსაზღვრელი ღალა ერთს გარდაკვეთილ გარდასახადად იქცეს. ეს განზრახვა ამ მხრით და მხოლოდ ამ მხრით ეთანხმება ჩვენის ხალხის ჩვეულებასა, რადგანაც წინა წერილიდამ ვიცით, რომ ჩვენში თითქმის ყველგან ღალა გარდაკვეთილი ჰსწარმოებდა და არა საწილო. როგორ უნდა მოვიდეს ეს აღსრულებაში? დებულებაში მოხსენებულია, რომ: 1) ჯერ უნდა წესი დაიდოსო მასზედ თუ როგორ მოიყვანონ ცნობაში აწინდელის წილადობილის ღალის რაოდენობაო; 2) მერე ადგილობრივის გარემოების მიხედვით ეგ რაოდენობა ღალისა ფულად დაფასდესო და 3) მას შემდეგ ნაყმევის გარდასახადი ღალა ერთობ ფულად განისაზღვროსო, ესე იგი, ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მახტად გადიქცესო.

ამ კანონ-მდებლობას რომ თვალი დავაკვირვოთ, ერთს განსაკუთრებითს ღირსებას ვიპოვით. აქ ცხადად გამოხატულია მთავრობის გულითადი მეცადინეობა, რომ ეს აუცილებელი ცვლილება ორივე მხრისათვის სამართლიანად მოახდინოს. ამაში მთავრობას ყოველივე ჩვენი თანაგრძნობა ეკუთვნის. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მთავრობისაგან აღნიშნული გზით განზრახული მისგან ცვლილება აუსრულებელია. ამას ამტკიცებს ის თვალსაჩინო მაგალითი, რომ აი მეცამეტე წელიწადი მიდის და ამ მხრით საქმის წინ წაწევისათვის არავის არც ხელი გაუნძრევია, არც ერთი ბიჯიც არ გადუდგამს. ჩვენის ფიქრით, თუნდა მოეწადინებინა ვისმეს, აურებელი დაბრკოლება წინ დახვდებოდა და პირველის ბიჯის გადადგმაზედვე გულს დააჯერებდა, რომ აღნიშნულს გზაზედ სვლა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ ვერ მოგვიფიქრებია რა წესი უნდა იყოს იმისთანა, რომ სახნავ-მიწისა და ვენახის მეოთხედი, ანუ სათიბის-მიწის მესამედი ცნობაში მოიყვანოს და ეს მოყვანილი ცნობა მართალი და უტყუარი იყოს. აქ, ჩვენის ფიქრით, ერთს რასმეს შეეძლო შველა: მას რომ ცნობილი იყოს ვის ვისგან რამდენი რგებია მეოთხედობიდამ ამ ცამეტს წელიწადში და მერე რიცხვთა შუა ანგარიშით კაცს გამოეყვანა თვითეულის მებატონისათვის და თვითეულის ნაყმევისათვის მაგ წილადობილის ღალის რაოდენობა. განა ეს შესაძლებელია? ან ერთმა მებატონემ, ან ერთმა ნაყმევმა იცის ეგა? თუნდ იცოდნენ კიდეც, — რამოდენა ხანი უნდა, რამოდენა კაცი, რომ თვითეულის მებატონისა და თვითეულის გლეხისაგან ეგ ცნობა მოეკრიფათ და საბუთიც მოეთხოვათ. უამისოდ ხომ არა რაიმე ცნობა დასაჯერი არ არის და არც იქნება. თუ ეგრეა, განა ამ გვარად ცნობის შეკრეფას ბოლო მოეღებოდაღა როდისმე? არა გვგონია.

ვჰსთქვათ რომ შეუძლებელი შესაძლოა, ვჰსთქვათ რომ რაოდენობა ცნობაში ასე თუ ისე მოყვანილ იქმნას, მას შემდეგ ერთი სადავიდარაბო — იმ რაოდენიმის დაფასება იქმნებოდა. ნუთუ ეს ვისმე ადვილი ჰგონია? ფასის აწევ-დაწევაზედ ათასი მიზეზი მოქმედობს. ეგ მიზეზნი დღეს ერთია, ხვალე სხვა. ადგილობრივის გარემოების მიხედვით ეგ უნდა მოხდესო, ამბობს კანონი. რა რიგად ზედ-მიწევნით უნდა აღინუსხოს ეგ გარემოება, რომელიც მრავალ გვარია, რა რიგად ზედ-მიწევნით უნდა დაიდვას სასწორზედ ყოველი იგი, რომ ამ შემთხვევაში არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. სად არის ამის ღონისძიება? მერე დღეს დადგენილი ფასი, დღევანდელს გარემოებაზედ დაფუძნებული ხვალაც ისე იქნება? ვის შეუძლიან ამისი თქმა? ვის შეუძლიან ჰსთქვას, რომ ამ შემთხვევაში ან მებატონე არ დაჰკარგავს და ან გლეხი? თუ ესეა, მაშ მაგ დაფასებაში სამართლიანობაზედ იმედს უნდა გამოვეთხოვოთ. თუ სამართლიანობა არ იქმნება, მაშ ან გლეხს რა გაუმთელებს ნატკენს გულს, ან მებატონესა? სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო, ამბობს ჩვენი ქართველი კაცი. ყურადღების ღირსია ამისთანა რწმენა ხალხისა. თვით ღალის ფულად ქცევა, ესე იგი, მახტის დადგენა მიწის-ჭურაში დიდად გაუძნელებს გლეხს თავისის მოვალეობის აღსრულებას და ნაბატონარსაც არას შემატებს. პირველი, იმიტომ-რომ ღალის ხდა ფულად ჩვენს ჩვეულებაში თითქმის არა ყოფილა, გარდა ორიოდ მაგალითისა, რომელიც მხედველობაში არ მიიღება, და მეორე, იმიტომ-რომ ფული ძნელად ჩაუვარდება გლეხსა, რომლის სიმდიდრე დღესაც ფულიანობით კი არ იზომება, არამედ პურისა და ღვინის მეტ-ნაკლებობითა, ესე იგი, მიწის მოსავლითა. თუნდ ეგეც არ იყოს, ჩვენ ვერ მიმხვდარვართ — რა საჭიროება მოითხოვს, რომ სულადით გარდასახადი ფულად იქცეს? საქმე მაგ გარდასახადის განსაზღვრაა. რაკი ეგ განისაზღვრება, მაშინ ყოველივე წილადობილის ღალის მავნებელნი შედეგნი მოისპობიან ცოტად თუ ბევრად და ამაში სულადით გარდასახადს, თუ ფულად გარდასახადს არა ვითარი ზედ-მოქმედება არა აქვს. თუ ესეა, რად უნდა ტყუილ-უბრალოდ შეირყეს ჩვეულება, რომლის მეოხებითაც გლეხი დღეს აქამომდე ღალას თუ კულუხს მიწის მოსავლით იხდიდა და ფულით გარდასახადს ერიდებოდა. ჭირი ხომ ჭირია, მაგრამ ჩვენი ხალხი ამაზედაც ამბობს, რომ შეჩვეული ჰსჯობია შეუჩვევარსაო.

ერთის სიტყვით იმ გზით და სახით, რა გზითაც და სახით ნაჩვენებია დებულებაში გლეხის აწინდელის

გარდასახადის გადაკვეთა ჯერ შეუძლებელია და მერე თუნდაც შესაძლო იყოს, ერთს მხარეს მოვალეობას უმძიმებს და მეორეს ამით არას მატებს. ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წილზედ-ჭურას შველა არა აქვს, არსაიდამ მოელის. შველა აქვს და ძალიან ადვილიცა, ოღონდ კი მივმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახვებს ხსნის გზასა. თუ არ მხარე და მხარე, მაზრა და მაზრა მაინცა ამ შემთხვევაში დიდს ერთ-ფერობას და ერთ-გვარობას წარმოგვიდგენს. არ არის მხარე, არ არის მაზრა სადაც დღიურზედ გადაწყვეტილის ზომისა და დადგენილის სახის ღალა არ ჰსწარმოებდეს. სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის ღალაა — ეგ ადვილად საცნობია, იმიტომ-რომ ეგ ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუცდომელად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ ჩვეულებით დადგენილი ღალის რაოდენობა და სახე და ყოველ ამის გვარად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი ღალა თავ-თავისის ადგილის მიხედვით. არც გლეხი იწყენს ამასა და არც ნაპატრონარი, იმიტომ-რომ მათს გარეშემო მწარმოებელს ჩვეულებაზედ იქმნება ყოველივე ეს დამყარებული და ამით არც მწვადი დაიწვის და არც შამფური.

ესე ყოველი რაცა ჰსთქვით, მხოლოდ მინდვრის მიწებს შეეხება და ჩვენის ფიქრით, ვენახების თაობაზედ უფრო ადვილად შეიძლება საქმის გათავება. აქ ჩვეულებამ თავისი ჰქმნა კიდეც და ამ ჩვეულებას თუ გარედამაც ხელი შეეწყო, არ გავა ხუთი, ექვსი წელიწადი, რომ ნაყმევნი ვენახების პატრონად შეიქმნებიან. ჩვენში ჩვეულება იყო, რომ ვინც სხვის მიწაზედ ვენახს გააშენებდა, ნახევარი გამშენებლისა იყო და ნახევარი მიწის პატრონისა. აქაც ჩვეულებამ დაგვიმტკიცა, რომ მიწის-ჭურაში უძლეველია. თითქმის მთელი კახეთი მორიგდა გლეხობას ვენახების თაობაზედ მაგ ჩვეულების წინამძღოლელობითა და ძალითა. თუმცა აქაც მეოთხედი იყო კულუხად დაწესებული მთავრობისაგან, მაგრამ არც ნაპატრონარმა ინდომა ეგ და არც ნაყმევმა. აიღეს მათ და უდრტვინველად, უდავიდარაბოდ, მშვიდობიანად ვენახები შუაზედ დაიყვეს, და ამ რიგად გლეხი ვენახის პატრონად შეიქმნა. ამ გვარი მორიგება წყნარ-წყნარად გადადის ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამაში შესანიშნავი ის არის, რომ გლეხი უფრო ეტანებოდა ამ გვარად საქმის გათავებას, ვიდრე ნაპატრონარი; დღესაც გლეხს უფრო უნდა მაგ გვარად საქმის გათავება ვიდრე ნაპატრონარსა. ნაპატრონარი ამ შემთხვევაში უკან იწევს იმიტომ-კი არა, რომ ეგ საზარალო ეგონოს. არა, ნაპატრონარმა კარგად იცის, რომ აქ არა ეკარგება რა, რადგანაც იმ ნახევარს ვენახისას ყველა სანახევროდ აიღებს და ნახევრიდამ ნახევარი ისევ იმ მეოთხედს შეადგენს მთლიანად. ამაში მოგებასაც ხედავს მით, რომ თავის წილს ვენახს თვით უვლის და საშფოთველი გლეხთან არა აქვს რა. მაგრამ ერთი რამ აბრკოლებს, სახელდობრ ისა, რომ წვრილ-წვრილი ნაჭრები შეხვდება სხვა და სხვა ადგილას გაფანტული. ამით მოვლა და თვალ-ყურის ჭერა უმნელდება. მაშასადამე რომ ამ საქმეს ნაპატრონარისაგან დაბრკოლება არ მიეცეს საჭიროა — ნაპატრონარს ღონისძიება მიეცეს რგებული ვენახების ნაჭრები ერთს ადგილს შეაგროვოს. ამისათვის გაცვალა-გამოცვალა ვენახების უნდა გაადვილებულ იქმნას. იშვიათად არის რომ ნაყმევთა ვენახები სახაზო და საეკლესიო გლეხთა ვენახებში ჩაჩხირებულ არ იყვნენ და რადგანაც სახაზო და საეკლესიო გლეხთა ნება არ აქვსთ ვენახების გაცვლისა, ამის გამო ერთს ადგილას მოგროვება ვენახებისა თითქმის შეუძლებელი ხდება. რომ ამ გვარს მორიგებას ფეხი აიჩქარებინონ იქ, სადაც ფეხი ადგმული აქვს კიდეც, როგორც კახეთში და ფეხი აადგმევინონ იქ, სადაც ჯერ ფეხიც არ აუდგამს, საჭიროა მთავრობამ ნება მიანიჭოს სახაზო გლეხს, რომ სადაც ხელს მიჰსცემს, დაუბრკოლებრივ შეუცვალოს ნაპატრონარს და ნაყმევს ვენახები ურთიერთ შორის მორიგებით. ამისათვის მთავრობამ ერთი საერთო განკარგულება რომ მოახდინოს დიდს შემწეობას მიჰსცემს ნაყმევსაცა და ნაპატრონარსაცა.

გამოიცვლება 172 მუხლის ძალითა აწინდელი წილადობილი ღალა და კულუხი თუ არა, მაინც და მაინც ამას ვიტყვით, რომ ეს არ არის გვირგვინი პატრონყმობის საქმისა. ეგ შუა გზაა, უკეთესი მასზედ რაც არის და უარესი მასზედ, რაც სანატრელია. მაგაზედ გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას მთავრობას წინადვე უგრძვნია ეს აუცილებელი საჭიროება და მის აცილებისათვის ღონისძიებათ მამულების შესყიდვა დაუნიშნავს.

მთელი კანონ-მდებლობა ამ საგანზედ იმავე საფუძველზედ არის დამყარებული, როგორც საერთოდ რუსეთში. როგორც რუსეთში ისე ჩვენშიაც მაგ კანონებს ეტყობა, რომ კანონ-მდებელთა ორის რასმის ფიქრი ჰქონიათ. ერთი იმის ფიქრი რომ გლეხობა არ ინდომებსო მამულის შესყიდვასაო. ამის გამო გლეხს ვალად დაადვეს, რომ თუ მებატონე მოითხოვსო, უსათუოდ სახნავ სათიბი მიწები და სასახლის ადგილი უნდა შეისყიდოვო. რადგანაც საფიქრებელი იყო, რომ ამ გვარად ძალად შესყიდვისათვის გლეხს ფულის სახსარი არ ექმნებოდა, ამიტომაც მთავრობამ დააწესა გლეხს ფულს გასესხებო 49 წლითა და წელიწადში თავნსა და სარგებელში ათს თუმანზედ გამოვართმევო ექვს მანეთსა,

რომლიდამაც ხუთი სარგებელში წავაო და ერთი თავნშიო. მეორე იმის ფიქრი ჰქონიათ, რომ გლეხობა თავთავის ვადაზედ ფულს ვერ შემოიტანსო და ამით სახელმწიფო ხაზინა იზარალებსო. ამისათვის 49 წელიწადი დანიშნეს სესხის ვადად, თუმცა ასზედ ერთი მანეთი თავნს 37 წელიწადს ასწორებს და იშორებს. აქ თორმეტი წელიწადი მეტია დანიშნული, იმიტომ რომ ხაზინას რაც 37 წელიწადში დააკლდება, ამ თორმეტის წლის შემოსატანის ფულით შეისრულოს.

იქნება ამ ორს ჭკუაში მოსასვლელს საგანს რაიმე საბუთი ჰქონდეს რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი არა მგონია, ჩვენი ხალხი თავისის ბინადრობის დიდი და მგვიდრი მოყვარეა. იგი სოფელი სადაც მის მამა პაპას უცხოვრია, სადაც მამა პაპის ძვლები უმარხია, სადაც მამა პაპის სალოცავია ჩვენის გლეხისათვის მეტად ძვირფასი რამ არის. დღესაც თუ ბედის ბრუნვას ერთის ადგილიდამ მეორეში გადმოუსახლებია ვინმე, იმის შვილი შვილნი და უფრო შორეული შთამომავლობა თითქმის ყოველ წლივ უწინდელის ბინის დასახედად მიდის, მამა პაპის ხატისა და სალოცავის თაყვანის საცემლად დაიარება. ამისთვის არც ხარჯს, არც დროს და არც გზაზედ სიარულის შრომას არა ზოგავს. თუნდ ესეც არ იყოს, ყველასაგან და ყველგან ცნობილია, რომ მუშა კაცი ყოველთვის იმის ნატვრაშია სადმე ბინა მოიკიდოს, სადმე თავისი საკუთრება იქონიოს და მიწის-მოქმედი მუშა ისე არა ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ესე იგი, მიწასა, ადგილ-მამულსა. ამ გვარებში ნამეტნავად ჩვენი გლეხია ღირს-შესანიშნავი. თუ კი თავის ახლო-მახლო მამულს როგორმე შეიგულებს, თავს დაიგირავებს, ცოლ შვილს დაატყვევებს ხოლმე, ვალში, ვახში ჩავარდება და მამულის ყიდვის შემთხვევას კი არ დაჰკარგავს. ჩვენებური გლეხი წელს გაიმაგრებს თუ არა, მარტო იმის ნატვრაშია, რომ მამული იყიდოს.

რომ ჩვენის გლეხის მიდრეკილება მამულის ყიდვისადმი ძლიერი და დაუძინებელია—ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ სამს თვალთ-საჩინოს, უცილოს მაგალითსა: 1) ჩვენებური გლეხი რაკი მამულის სასყიდლად გაიწევს, მას არა ფასი არ აშინებს უკან არ დაახევინებს და ამის გამო რასაც გლეხი იმეტებს მამულის სასყიდლად, იმოდენას თავის დღეში სხვა კაცი ვერ გაიმეტებს. ფასის აღმატებაში გლეხს სხვა კაცი წინ ვერ წაუვა და ვერც შეეცილება. ეს ყველასაგან ცნობილია; ჩვენ იმის თანა მაგალითიც ვიცით, რომ ასს საჟენს სოფლის ცარიელს მიწაში გლეხს ოცი თუმანი მიეცეს. ვჰსთქვათ რომ ეს მხოლოობითი შემთხვევაა, მაგრამ მაინც ყველამ იცის რომ ჩვენებური გლეხი, რაკი ღონისძიებას ხელთ იგდებს, გიჟურის ფასის მძლეველია. ცხადია, რომ ესე გულუხვად ფასის გამომეტება განსაკუთრებით გლეხის მიდრეკილებისაგან არის წარმომდგარი, და აქ სხვა რაიმე ეკონომიური მოსაზრება და ანგარიში არ მოქმედობს. 2) აუარებელი ნასყიდობის ქაღალდები წარმოადგინა ჩვენმა ნაყმევ-გლეხობამა საგლეხო სასამართლოში დასამტკიცებლად იმ მამულების თაობაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის გადავარდნის უწინ ეყიდნათ, ესე იგი, მაშინ, როცა გლეხების საკუთარი და ამგვარად შეძენილი მამულიც ბატონის ნებაზედ იყო მინებებული და ბატონის საკუთრებათ ითვლებოდა, ჩვეულებით თუ არა, კანონით მაინცა, და როცა კანონი გლეხს საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც ჰპირდებოდა და არც უწევდა. რა ძლიერი მიდრეკილება უნდა ჰქონოდა, რომ ამ გვარის წყობილების წინაშე გლეხი მამულის ყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა. 3) მარტო ქუთაისის გუბერნიაში, სადაც გლეხობა ყველას უფრო ღარიბათ მიგვაჩნია, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ რვა ათას სამოც-და-ხუთმეტმა (8075) ნაყმევმა კომლმა შეისყიდა თავისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და ერთი მილიონი ას ოთხი ათას რვაას სამოც-და-ათი (1,104,870) მანეთი თავისის საკუთარის ჯიბიდამ მისცა, ასე რომ მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში ოცდა შვიდს წელიწადში ნაყმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლივს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედმა 10 წელიწადში გამოისხნა თავისი მამულები, ისიც მთავრობის დაუხმარებლად. ნუ თუ ეს მაგალითები არ ამტკიცებენ მას, რომ ჩვენებურს გლეხში დიდი მიდრეკილებაა მამულის შეძენისადმი. აქედამ ჰსჩანს, რომ ის კი არ უნდა ეფიქრათ გლეხი მამულის ყიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ იგი მამულს არ გაჰყიდდა: ამის წამალი უნდა მოეპოვებინათ. ყველგან ყოველის ხალხის განონებში ის კი თქმულაო, ამბობს ერთი რუსის მწერალი, რომ სახელმწიფო საჭიროებისათვის, საყოველთაო სიკეთისათვის ძალად გააყიდვინონ ადგილ-მამულიო და ძალად აყიდვინონ კი—ეგ არსად გაგონილაო.

ჩვენის ფიქრით, მეორე შიშიც რომ გლეხი პირნათლად ვერ გამოვაო მთავრობისაგან ნასესხის ფულის გადახდაშიაო, ჩვენის გლეხ-კაცის ავ-კარგიანობაზედ არ არის დამყარებული. ოღონდ გაუადვილდეს გლეხს მამულის ყიდვა, ოღონდ კისერზედ ნუ მოეხვევა უხეირო, უსმარი მამულები და ამითი გული ნუ გაუტყდება და იგი ნასესხის ფულის გადახდის თაობაზედ პირ-შავად არ გამოვა. სასოფლო ბანკები, თითო ოროლა მაგალითი საადგილ-მამულო ბანკისა ცხადად გვიმტკიცებენ რომ გლეხნი ვალის მოშორებაში უტყუარნი არიან. ეგ

იციან არამც თუ მათ, ვისაც გლეხთან გულ შემატკივრად საქმე დაუჭერიათ, არამედ იმათაც ვისაც მათთვის მამასისხლათ ფული უსესხებიათ. ამიტომაც სესხის ჯეროვანს ვადას გარდამეტებული თორმეტი წლიწადი, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, მეტის მეტი სიფრთხილეა, მით უფრო რომ ეგ სიფთხილე გლეხს აწვება კისერზედ, მაშინ როდესაც იგი მაგის მიზეზი არ არის. დიდი შეღავათი იქნებოდა გლეხისათვის, რომ ერთისა და იგივე გარდასახადით ვალი ოცდა ჩვიდმეტს წელიწადს მოეშორებინა და არა ორმოცდა ცხრასა, როგორც ამ ჟამად არის დაწესებული.

თუ გლეხს მაგისთანა წყურვილი აქვს მამულის ყიდვისაო, თუ მთავრობისაგანაც მამულისათვის საჭირო ფულს ეგრე იაფად შოულობსო (თუმანზე სამი აბაზი თავნში და სარგებელში 49 წლის ვადით), მაშ ნაყმევთაგან მამულების დახსნა ეგრე ტაატით რად მიდისო, გვეტყვიან ჩვენ. ამისი მიზეზი ბევრია, და მათში არც ერთი იმისთანა არ არის, რომ გლეხის ბრალი იყოს. ჩვენ ამ ჟამად მარტო უმთავრესს მიზეზებს მოვიხსენიებთ.

კანონით ნაყმევსა ორის გზით შეუძლიან მამულის ყიდვა: ერთი—თავისის ფულით მთავრობის შეუწევნელად და მეორე—მთავრობისაგან ნასესხის ფულითა. გლეხი ერიდება თავისის მამულის დახსნას საკუთარის ფულით, იმიტომ რომ ბევრს მაგალითებს ხედავს, რომ ამ რიგადაც მამულის შეძენისათვის კანონიერის სიგელის გამოტანა უძნელდებათ და უგვიანდებათ, რადგანაც ამგვარად ყიდვაშიაც მომრიგებელი შუამდგომელი (Мировой посредникъ) და ერთობ საგლეხო გამგეობა არ ვიცით რისთვის ერევა (*) და უამისოდაც რთულს საქმეს სიგელის დამტკიცებისას საზოგადო კანონისამებრ უფრო აძნელებს. მაგალითებრ, თვით მთავრობას ცნობილი აქვს, რომ ქუთაისის საგლეხო გამგეობას თითქმის 1877 წლამდე არც ერთი ამგვარი სიგელი არამც თუ დაუმტკიცებია, არც კი განუხილავს. ნუ დავივიწყებთ, რომ 8075 კომლის სიგელი მაინც უნდა იყოს ქუთაისის გუბერნიაში ამ ჟამად. რასაკვირველია, გლეხკაცობას ამ გვარი საქმის გაძნელება და დაგვიანება, ყოველს ხალისს თუ არ მოუკლავდა, ყიდვის სურვილს მაინც და მაინც დიდად შეუყენებდა.

საკვირველია, რომ მთავრობის შემწეობით ყიდვას გლეხი უფრო ერიდება, თუმცა, ადგილობრივის მიხედვისა კვალად, მთავრობა ბევრით იაფად აძლევს გლეხს სესხსა. ამისი მიზეზი ის არის, რომ სესხის გადასახდელად ურთიერთის თავ-დებობაა კანონად დადგენილი.

(*) იხილეთ: Приложеніе къ 17 (примѣч. 2) наказа по выкупной операціи въ Тифлисской и Кутаисской губерніяхъ მუხლნი: 8, 9,

ეგ ჩვენებურის გლეხის ჩვეულების პირ-და-პირ წინააღმდეგია, წინააღმდეგია მისის მეურნეობის გამართულობისა, მისის ეკონომიურის მდგომარეობისა და მოწყობილებისა. რუსეთში მაგას თავისი ადგილი აქვს და თავისი ჯეროვანი საბუთიცა. იქ მამულების საერთოდ-სასოფლოდ (мірское) მფლობელობა არის და საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობას საერთო მოვალეობაც მოსდევს. კარგია თუ ავია საერთოდ-სასოფლოდ მფლობელობა მიწისა ჩვენ ამის გამოძიებაში არ შევალთ. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ურთიერთის თავდებობა უსაბუთოა, იქ სადაც საერთო თანა-სწორი მიწის მფლობელობა არ არის. ლავლეე ამბობს, რომ ურთიერთის თავდებობას მაშინ აქვს ადგილი და საბუთიო, როცა მიწის საერთოდ მფლობელობიდამ არის წარმომდგარიო. ჩვენში მფლობელობა ადგილ-მამულისა, მეურნეობის გამართულობა, ეკონომიური მოწყობილება კომლეულია, განსაკუთრებით საოჯახოა და არა საერთო-სასოფლო. ამის გამო ჩვენში ურთიერთის თავდებობას მარტო მოვალეობის თვისება აქვს გლეხისათვის. და რაც მაგ მოვალეობას უფლება მოსდევს, იმ უფლებას კი ჩვენებური გლეხი მოკლებულია. რადგანაც ჩვენს დებულებაში ისევ ის ჩვეულებრივი კომლეული მიწის-მფლობელობაა ჩვენის გლეხის მდგომარეობის დედა-ბოძათ მიღებული, ამის გამო არავითარი საბუთი არ იყო, რომ ურთიერთი თავდებობა შემოეღოთ და ვალის ხდა კომლეულობით არ მოესაზრათ. ჩვენებურს გლეხს არ ესმის და, სწორედ გითხრათ, ვერც გაიგებს რისთვის უნდა იხადოს სხვის მაგიერი ვალი, მაშინ როდესაც იმ სხვას თავისი საკუთარი ბინა აქვს, თავისი მიწა და ქონება; იმ მიწასა და ქონებაზედ თვით არა ვითარი უფლება არ მიუძღვის არც საზოგადოებრივი, არც კერძობრივი. ერთობ, ეგ ურთიერთის თავდებობა დიდად აშინებს გლეხსა და მთავრობის კეთილ განზრახულს შემწეობაზედ ხელს აღებინებს; გლეხს ამას გარდა კიდევ ის აფხთობს, რომ ხაზინასთან საქმის დაჭერა ეძნელება. მრავალის მაგალითით გული დაუჯერებია, რომ მოთანამდე პირთა გულმოდგინეებისაგამო, ხაზინის გარდასახადი ერთი აბაზი ხშირად მანეთად დასჯდომია.

თუ ეს არ იყოს რად უნდა ერიდებოდეს გლეხი მთავრობისაგან ვალის აღებას? რომ ერიდება ამის მაგალითად იმას მოვიყვანთ, რომ იმერეთში გლეხ-კაცობამ ერთ მილიონზედ მეტი ფული მისცა თავის მამულების დასახსნელად, ისე რომ მთავრობას ერთი გროშიც არ ესესხა. თუმცა ტფილისის გუბერნიაში ათას ორას ოცმა (1220) კომლმა გამოისყიდა მამულები და ამისათვის მთავრობისაგან სამას თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდა ხუთი (314,985) მანეთი ისესხა, მაგრამ ამათაც კი გამოუც-

ხადებიათ სურვილი, რომ ეგ ფული სულ ერთბაშად შეიტანონ ხაზინაში. (*) გულდაჯერებული უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ორს ზემოხსენებულს შემთხვევაში გლეხი ვალის ალებას არ გადურჩებოდა და იმაზედ ისევად, როგორც მთავრობას განუზრახავს, სად იშოვის გლეხი მაგ ვალხს? არსად, და მაინც, როგორც ეტყობა, გლეხ-კაცობა მამასისხლად ვალის ალებას უფრო რჩეობს, ვიდრე ხაზინისაგან დიდის შეღავათით ხელის გამართვასა.

ყველაზედ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოინდომებს. ამ საგანზედ ჩვენ ჩვენი აზრი ზემოდ გამოვსთქვით. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ თუ რა აბრკოლებს, რომ აქამომდე ეგ წადილი იმოდენად ფეხ-ადგმული არ არის, რამოდენადაც სასურველია. აი ჩვენის ფიქრით, რა აბრკოლებს: ზოგი მებატონეა დღესაც, რომ მისი დღეობაა, როცა გლეხი მასთან სასეწყრად მოვა და მიიმედ თავს დაუკრავს. აწინდელი მიზეზით ასეთი გვარი მათ შორის ამ თავ-მოყვარეობას ცოტად თუ ბევრად ხელს უმართავს და მებატონე ამით კმაყოფილია. ბატონ-ყმობაში დაბადებულს, ბატონ-ყმობაში გამოზრდილს მებატონეს, რასაკვირველია, ეწყინება, გული ეთანაღრება, რომ მის გარემო ბატონობას აგალა აღარა აქვს და ფიქრობს, რაკი წყალს მივყევარ, ხავს მაინც მოვეჭიდოო. ხავსათ კიდევ მიზეზიანი მეორე ხელობა გაუხდია და ამას მაგრად ეჭიდება. ჩვენდა სასახელოდ, ამისთანანი ბევრნი არ არიან. ზოგი მებატონეა რომ თუმცა დებულების ოქმში მეოთხედობა მოუსპენია, მაგრამ ამ მიზეზიანის მოვალეობის შემწეობით გლეხი იქამდე მიუყვანია, რომ იგი მალა-უნებურად მორიგების მებატონეს შინაურულად, სიტყვით და უწინდებულად გაუბეგრავს თავი, ესე იგი, გარდა გარდაკვეთილის ვალისა და კულუხისა გლეხს მებატონისათვის მუშაობაც უკისრნია. რასაკვირველია, ამ გვარის მებატონისათვის მამულის გაყიდვა, რომელიც გლეხის სრულს განთავისუფლებას მოასწავებს, სანატრელი არ იქმნება, რადგანაც ამით მოისპობა ის მიზეზი, რა მიზეზითაც დღეს გლეხი ძალა უნებურად ბეგარას უწევს. ზოგი მებატონეა და, ჩვენდა საუბედუროდ, მომეტებული ნაწილიც, რომ მამულის გაყიდვა უნდა და მარტო იმისთვის არ აცხადებს სურვილს, რომ ეშინიან დავიწყობ საქმესო, ფული—უბრალოდ გავებნიო, თრეკას და ხარჯს ველარ გავუძლებ და ბოლო კი არ მოეღებაო. ორს პირველს მიზეზს კბილს მოჰკვრის ის, რომ, ზემოხსენებულის 172 მუხლის ძალით, აწინდელი წილადობილი გლეხის გარდასახადი ყოველგან მალე გადივეთოს და განისაზღვროს ადგილობრივის ჩვეულების მიხედვითა,—და მესამეს კი ის, რომ ერთობ უსაბუთოდ რთული და დაუბოლოებელი წარმოება მამულის დახსნის თაობაზედ გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოდიოდეს.

ამ უკანასკნელის მიზეზის მოსასპობლად ამ ახლო ხანებში ჩვენის მთავრობის წინაშე წარდგენილა ახალი წინადადება. ამ წინადადების ქვა-კუთხედი და დედა-აზრი იგია, რომ მთავრობამ ნაყმევთა მამულების დახსნისათვის იმისთანა რამ ადგილობრივ გამართოს როგორც საადგილ-მამულო ბანკია, საიდამაც გლეხთა მამულის დახსნისათვის ფულის სესხად აღება შეეძლოთ იმავე წესით და პირობით, როგორც ეგე ფული საადგ.-მამულო ბანკშია მიღებული. ეს ქვეყნიერებაზედ ახალი ამბავი არ არის. მაგ გვარი წყობილება ევროპაში, საკუთრივ გერმანიაში დიდი ხანია შემოღებული იყო ნაყმევთა მამულების დახსნისათვის და იქ, სადაც იყო შემოღებული, ამ გვარმა წყობილებამ მეტად ააჩქარა ბატონ-ყმობის საქმის დაბოლოვება საყოველთაოდ საკეთილოდ. დანიაში 1806 წ. დაწესდა მაგ გვარი ბანკი, ჰესსენ-კასსელში 1832, ჰანოვერში 1841 წ. ნასსაუში 1849 და სხვა. რადგანაც ჰანოვერის ბანკს მოქმედობას მეტად უქებდნენ, ამის გამო მის აგებულებაზედ და განწყობილებაზედ ზოგიერთს უმთავრესს ცნობას მოვიყვანთ. ჯერ კიდევ 1830 წლიდამ, ჰანოვერში გამოთქმულ იქმნა ის აზრი, რომ ნაყმევთა სრულიად განთავისუფლებისათვის ბანკი რამ გაიმართოს მთავრობის დასმარებითა. ნემეცთა, ჩვეულებისამებრ, ეგ აზრი სინჯეს, გაზომ-გამოზომეს, აწონეს დაიდეს და ბოლოს 1841 წ. აღსრულებაშიაც მოიყვანეს, ბანკი დააწესეს და საგნათ მარტო გლეხთა მამულების გარდასახადის დახსნა დაუნიშნეს. მაგრამ თითქმის იმავე დროს მთავრობამ გამოაცხადა სურვილი და აღსრულებაშიაც მოიყვანა, რომ ეგ ბანკი მარტო გლეხთა მამულების გამოსხნას არ მიჰყვეს და თვისი მოქმედება განავრცოს, ესე იგი, სესხი აძლიოს ყოველს უძრავს ქონებაზედაც—ნაყმევისა იქნება თუ სხვა პირისა. პირველს და მეორეს შემთხვევაშიაც გირაოდ მიიღებოდა უძრავი ქონება. მთავრობამ ნახევარ მილიონი ტალერი (91 1/4 კაპეიკია) დაუნიშნა, რომ, თუ ვინიცობაა გაჭირებამ მოითხოვოს, ბანკმა ხელი გაიმართოს. ამ ფულიდამ ბანკს ნება ჰქონდა მოეთხოვნა სახელმწიფო ხაზინისაგან ერთ ხანად 100,000 ტალერი; ხაზინას სარგებლად უნდა ერთმია ათს თუმანზედ სამი მანეთი წელიწადში. ამას გარდა ყოველივე პასუხის-გება ბანკის მოვალეთა წინაშე თვით მთავრობამ იკისრა. ჰანოვერის ბანკი შინაგანის საქმეთა მინისტრის გამგეობით ჰსწარმოებდა. თვითონ ბან-

(*) იხილე Донесеніе губернскаго по крестьянскимъ дѣламъ присутствія отъ 15 Іюня 1876 г. № 471.

ქის ჰმართავდა მთავრობისაგან დანიშნული სამი კაცი, რომელნიც ბანკის მართველობას შეადგენდნენ. მესესხებელთ შორის ურთიერთის თავდებობა მიღებულ არ იყო. ამ ბანკში შესანიშნავი ორი რამ არის. ერთი ის, რომ სესხის მოსაშორებლად ერთი ვადა კი არ იყო დაწესებული, არამედ რამდენიმე. მესესხებელის ნებაზედ იყო მიგდებული ან ერთს ვადაზედ დამდგარიყო, ან მეორეზედ. მეორე ისა, რომ რაკი ბანკში მამული გირაოდ შევიდოდა, არა რაიმეს კერძოობითს მთავრობითსა ან სასამართლოს განკარგულებას არავითარი ძალა არ ჰქონდა იმ მამულის თაობაზედ, თუ რომ იმ განკარგულებას ბანკისათვის რაიმე ზარალი და ვნება მოსდევდა. 1841 წლიდამ 1850 წლამდე, ესე იგი, ათის წლის განმავლობაში ამ ბანკმა შვიდ მილიონზედ მეტის ფასის (7,249, 779 ტალერი) მამულები დაასხნევინა ნაუმეებსა.

ჩვენი პირდაპირი საგანი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად ამ წერილების სათაური აცხადებს, სულ სხვა არის, ამიტომაც ზემოხსენებულს წინადადებას ამ ჟამად ჯეროვნად და ვრცლად ვერ გამოვიძიებთ.

ბატონ-ყმობის გაუქმებას ჩვენში ზედ მოჰყვა სასოფლო მმართველობის ახალი წესდებულებაცა. ამაზედ ლაპარაკი შემდეგ გვექნება.

---

## მოკლე მოთხრობა სხვა და სხვა სახელმწიფოთათვის

ავსტრი-ვენგრია. *) წარსულს წერილში მოხსენებულთა ავსტრი-ვენგრიის მცხოვრებთა რიცხვის საქმიდამ ჰსჩანს, რომ იმპერია ერთ გვარ-ტომითის ხალხით არ არის შემდგარი. იგი წარმოადგენს იმისთანა კავშირს, საცა თვითეულს ხალხს თავისი საკუთარი ენა აქვს, საკუთარი ისტორია, საკუთარი მწიგნობრობა, ხასიათი, ჩვეულება, მიდრეკილება და ყოფა-ცხოვრება. ესე ყოველი ერთად ხალხის განსაკუთრებულს სახეს, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, თვისებას შეადგენს. ეგ თვისება, ეგ საკუთარი სახე მეტად ძვირფასი რამ არის ყოვლის ხალხისათვის, იმიტომ რომ იგია შთამომავლობითი მემკვიდრეობა ყოველ იმისა, რისთვისაც უღვწია, უბრძოლია მამასა და პაპასა. თუ ამ მხრით იგი მამა-პაპათა აკლდამაა, საცა მარხია ყოველი საუნჯე და დიდება შვილისა, მეორეს მხრით იგი ნერგია, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს და აყვავდეს შვილის ბედნიერება. ამის შემდეგ საკვირველი არ არის რომ როცა ერთის ტომის ხალხი მეორე ტომის ხალხს ისტორიის გზაზედ შეხვდება, ძლიერი მაშინვე ამ საუნჯისაკენ გაიწვდის მძლავრს ხელს, რადგანაც იცის რომ ჩამორთმევა მაგისი ყოვლის ღონის ჩამორთმევაა, და უძლური კი მაშინვე მთელის თავისის ღონით, თავ-გამოდებით მაგ საუნჯეს ზედ-გადეფარება ხოლმე, როგორც რკინის ფარი, რადგანაც მას მაგაზედ მძიმე და ძვირფასი დასაკარგავი არ აქვს რა.

ავსტრიის იმპერიაში სწორედ ესე მოხდა. ავსტრიის მთავრობამ, რომელიც ნემეცის შთამავლობისაა, განიზრახა თვისი სხვა და სხვა ტომის ხალხი გაენემეცებინა და მით წაეშალა განსაკუთრებული თვისება თვითეულის ხალხისა. ამისათვის მან გამოდევნა ვენგრიისა და სლავიანების სასამართლოებიდამ, სამმართველოებიდამ და სასწავლებლებიდამ ვენგერთა და სლავიანთა სამშობლო ენა და ნემეცური ენა შემოიღო, მოსპო ყოველი მათი თვით-მოქმედება და თვით-მმართველობა, ჰსდევნიდა მათს თავისუფლებას, მწერლობას, ერთის სიტყვით—ყოველს მას რითაც ხალხი თავის-თავს ხალხათ აღიარებს. მაგრამ ამ გვარი წინდაუხედავი და ულმობლობით აღსავსე საქციელი ძვირად დაუჯდა ავსტრიასა. მან ამით გადიმტერა თავისი ქვეშევრდომი ხალხი ტყუილ-უბრალოდ, იმიტომრომ თავის განზრახულს საქმეს მაგით ვერ მიჰსწვდა და მტრობა კი მტრობათ დარჩა. ეს გადამტერება, შემოწყრომა დევნილის ხალხისა ხალხის გულის-აყრა— სხვათაშორის შეიქმნა მიზეზად, რომ ავსტრია 1860 წ. დაამარცხა იტალიამ და 1866 წ. პრუსიამ კიდევ ისეთი საქმე დაჰმართა, რომ ავსტრიამ თითქმის ორ კვირასაც ვერ გაუძლო პრუსიის ჯარსა და დამარცხებულმა პრუსიის წინაშე თავი მოიხარა. ამ მაგალითების შემდეგ თვითონ ავსტრიაც მიხვდა, რომ იმპერიის მშვიდობისა, სიმრთელისა და სიმაგრისათვის გულ-აყრილი, შემომწყრალი ქვეშევრდომი ხალხი საიმედო არ არის და ამიტომაც შეუდგა იმის ცდას, რომ ხელახლად შეირიგოს, როგორმე ხალხის გული მოიგოს. ბევრის ცდისა და ტორტმანის შემდეგ 1867 წ. იმპერატორმა მიანიჭა იმპერიას ახალი-მთავრობითი წესი, ესე იგი ახალი კონსტიტუცია, რომელიც დღესაც მოქმედებს. ამ წესის ძალით ვენგრიამ იმისთანავე სახელმწიფო უფლებანი მიიღო, როგორც ავსტრიასა აქვს. ხოლო ზოგიერთმა სლავიანების ქვეყნებმა მარტო თავისი შინაურის საქმეების თვით-მმართველობის, გამგებლობის უფლება შეიძინეს. ამ კონსტიტუციამ სლავიანები არ დააკმაყოფილა. ესენი ცდილობენ ესლა იგივე უფლება შეიძინონ, როგორიც დღეს კონსტიტუციით აქვს ვენგრებსა.

ერთის სიტყვით, ავსტრი-ვენგრიის იმპერია ძალაუნებურად დღეს იმ გზას ადგია, რომელმაც დღეს თუ ხვალე აუცილებლად ფედერაციამდე მაინც უნდა მიიყვა-

---

„ივერია" № 2 1877.

ნოს, ესე იგი, იმისთანა სახელმწიფო წყობილებამდე რომლის ძალითაც თვითეულს ხალხს იმპერიისას თავისის საკუთარის საქმეების გამგეობა და მმართველობა მის ნებაზედ ექმნება მინებებული, ხოლო საერთო სახელმწიფო საქმეთათვის ექმნებათ საერთო სახელმწიფო მმართველობა, სულ ყველასაგან დადგენილი. ეს იქმნება თავისუფალთა ხალხთა კავშირ-ზავობა როგორც ეხლა შვეიცარიასა და ამერიკაში. ესე,თუ არა,დღეს ავსტრიის საშიშარი ტკივილი ის არის, რომ ყოველი ტომის ხალხი თავისსა თხოულობს და ამას დაკმაყოფილებას უნდა. ავსტრიის ბედი და უბედობა, მისი ძალა, მისი გამძლეობა და არსებობა იმაზედ დამოკიდებულია თუ როგორ დააკმაყოფილებს იგი თვის ქვეშევრდომთა ხალხთა სამართლიანს თხოვნასა.

დღეს მთელის ევროპის წინაშე წამოყენებულია ფეხზე აღმოსავლეთის რთული საქმე და ეს საქმე უმთავრესად სლავიანებზედ ტრიალებს. რადგანაც ავსტრიაში იმოდენა სლავიანები არიან, მკითხველი ადვილად მიხვდება იმ საჭიროებას, რომელიც ავსტრიას ძალას ატანს მხურვალე მონაწილეობა მიიღოს აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტაში.

—

**გერმანია.** — ძალიან შესანიშნავი რამ არის ეს გერმანიის იმპერია. მისი კონსტიტუცია, ესე იგი,მისი მთავრობითი განწყობილება, მისი შინაგანი მმართებლობითი აგებულება ისეთ ნაირად არა ჰგავს სხვა სახელმწიფოთა განწყობილებას და აგებულებას, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ კონსტიტუციაზედ ცოტაოდნად დაწვრილებული მოთხრობა.*) გერმანია შესდგება **25** სახელმწიფოთაგან: პრუსია, ბავარია, საქსონია, ვირტემბერგი, ბადენი, ჰესსენი, მეკლენბურგ-შვერინი, მეკლემბურგ-სტრელიცი, საქსენ-ვეიმარი, საქსენ-მეინინგენი, საქსენ-ალტენბურგი, საქსენ-კობურგ-გოტა, ბრაუნშვეიგი, ოლდენბურგი, ანგალტი, შვარცბურგ-რუდოლ-შტატი, ვალდეკი, რეისსიუფროსი, რეისს-უმცროსი, ლიპპე, ლიპპე-შაუმბურგი, თავისუფალი ქალაქები ლიუბეკი, ბრემენი და ჰამბურგი. ამას უნდა მიუმატოთ ელზას-ლოტარინგია, რომელიც გერმანიამ წაართვა საფრანგეთს უკანასკნელის ომის შემდეგ. ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ ელზას-ლოტარინგიას არა აქვს თავისი საკუთარი კონსტიტუცია და ამიტომ ჩვენ არ ჩავთვალეთ იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ურთიერთის მოზავეობით დაარსეს ეხლანდელი იმპერია. გარდა ამისა ეხლანდელი გერმანიის კონსტიტუციაკიდეც შედგენილი იყო, როდესაც გერმანიამ ჩაიგდო ხელში ელზას-ლოტარინგია.

წინაპირველად უნდა მოვიხსენიოთ, რომ ყოველი ზემოხსენებული სახელმწიფო არის, ერთის მხრით, თავისუფალი, სრულიად დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავისი მმართებლობა, საკუთარი შინაგანი განწყობილება; მეორის მხრით — არის წევრი-მოზავე იმ განურღვეველის ზავისა, რომელსაც უწოდებენ გერმანიის იმპერიას და რომელსაც, თავის მხრით, აქვს საკუთარი საგანი და დანიშნულება. ერთის სიტყვით, ყველა ამ სახელმწიფოებმა ერთმანეთის მოზაობა დაადგინეს მასზედ, რომ საერთო, საყოველთაო საქმე საერთოდ განვაგოთო და სხვაფრივ კი თავისუფალნი ვიქმნეთო. ჩვენ ამ ჟამად განვიხილავთ მხოლოდ მას, რაც გერმანიას საერთოდ შეეხება.

გერმანიის ზავსა მინიჭებული აქვს უმაღლესი მმართებლობითი უფლება, რომლის წარმოება ეკუთვნის პრუსიის კოროლს, გერმანიის იმპერატორათ სახელწოდებულს, და მოზავეთა საბჭოს რომელიც შესდგება გერმანიის თვითეულის სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან. კანონთ-მდებელი უფლება ეკუთვნის როგორც მოზავეთა საბჭოს, აგრეთვე გერმანიის ხალხის წარმომადგენელთა კრებას, რომელ საც უწოდებენ რ ე ი ხ ს ტ ა გ ს.

იმპერია საერთოდ განაგებს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელნიც შეეხებიან ლაშქრობას, იმპერიის ფინანსებს, ალებ-მიცემობას, ფოშტას, ტელეგრაფს, რკინის გზებს, მწიგნობრობას და სხვ. რაც ამ საგნებს არ შეეხება, ყველაფერი მინდობილი აქვს თვითოეულ სახელმწიფოს ცალკედ, ისე რომ ყოველი მათგანი როგორც ჰსურს, ისე განაგებს. მოზავეთა საბჭო არის შემდგარი, ზავის წევრთა (მათის მთავრობის) წარმომადგენელთაგან. მაგრამ ამ წევრთა თანასწორი მონაწილეობა არა აქვთ საბჭოში: პრუსიას ეკუთვნის **17** კენჭი, ბავარიას **6**, საქსონიას **4**, ვირტემბერგს **4**, ბადენსა და ჰესსენს სამ-სამი კენჭი, მეკლემბურგ-შვერინს **2**, და დანარჩენ სახელმწიფოებს თვითო თვითო კენჭი. ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება გაგზავნოს მოზავეთა საბჭოში იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც კენჭი აქვს მინიჭებული, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ერთ და იმავე საგანზედ კენჭი უნდა შეაერთონ ისე, ვითომც ერთი წარმომადგენელი ყოფილა. რასაკვირველია, ეს ასე უნდა მოხდეს, რადგანაც ყოველი წარმომადგენელი წინადვე დარიგებულია თავის მთავრობის მიერ, როგორ უნდა მოიქცეს მოზავეთა საბჭოში, კენჭი ვის და რას უნდა მისცეს.

ამ საბჭოს პრეზიდენტი არის იმპერიის კანცლერი *), რომელსაც ნიშნავს იმპერატორი. რო-

*) გერმანიის სივრცე შეადგენს 9,818 ოთხ.კ. მილს, რომელზედაც სცხოვრობს 24,752,554 სული. მათ შორის 37,820,000 ნემეცია, 2,600,000-მდინ სლავიანი, დანარჩენი სხვა ტომის ხალხია.

*) ამ ჟამად ბისმარკი.

დესაც კანცლერს რომელიმე, მიზეზის გამო, ვერ შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა ამ საბჭოში, მის პრეზიდენტად, იგი, თავის ნაცვლად, ვისაც უნდა იმას ნიშნავს. ამითი არა თავდება ამ საბჭოს უცნაური ხასიათი. ყოველ საბჭოში, ყოველ საზოგადო ყრილობაში შემოღებულია, რომ თუ ვინიცობაა დადებულს რიცხვზედ ნაკლები წევრი შეიყარა, საზოგადოებას ვერა საქმეს ვერ განაგებს და მის განაჩენს კანონიერი ძალა არ ექმნება. გერმანიის მოზავეთა საბჭოში კი სრულებით სხვა ფრივ არის დაწესებული. ერთი წევრიც რომ მოვიდეს, მაინც მის განაჩენს კანონიერი ძალა ექნება. ამ შემთხვევაში, ეს ერთი წევრი უთუოდ პრეზიდენტი უნდა იყოს, რადგანაც უამისოდ კრება უკანონოდ ჩაითვლება. ერთის სიტყვით საბჭოში ბურთი და მოედანი პრუსიისაა. მოზავეთა საბჭოს შეყრის უფლება ეკუთვნის მხოლოდ იმპერატორს. ეს საბჭო და რეისსტაღი შეიყრებიან ყოველ წლივ. მოზავეთა საბჭო შეიძლება შეყრილ იქმნას ურეისსტაღოთაცა, მაგრამ რეისსტაღის შეყრა კი შეუძლებელია უიმისოთ, რომ იმავე დროს საბჭო არ იყოს შეყრილი.

მოზავეთა საბჭოში ბჭობა საიდუმლოა, ე. ი. უცხო კაცი ვერ დაესწრობა და თვით საბჭოს პროტოკოლიც ვერ გამოცხადდება არც ბეჭვდით და არც სხვა გვარ.

რ ე ი ს ტ ა ღ ი არის მთელი გერმანიის ხალხის წარმომადგენელთა კრება. ეს წარმომადგენელნი აღმოირჩევიან საყოველთაო კენჭის ყრით. მთელი გერმანია განიყოფება რამდენიმე არჩევანის მაზრად; 100,000 მცხოვრებ სულზე დანიშნულია ერთი დეპუტატი, პატარა გერმანიის სახელმწიფოს, თუნდა მისი ხალხის რიცხვი 100,000-ზედ ნაკლები იყოს, მაინც შეუძლიან იყოლიოს ერთი დეპუტატი. ამ ჟამად რეისსტაღში 397 დეპუტატია. მათ შორის:

| | |
|---|---|
| პრუსიას ეკუთვნის | 235 |
| ბავარიას | 48 |
| საქსონიას | 17 |
| ელზასლოტარინგიას | 15 |
| ბადენს | 14 |
| ჰესსენს | 9 |
| მეკლემბურგ-შვერინს | 6 |
| საქსენ-ვეიმარს | 3 |
| ოლდენბურგს | 3 |
| ბრაუნშვეიგს | 3 |
| ჰამბურგს | 3 |
| საქსენ-მეინინგენს | 2 |
| საქსენ-კობურგ-გოტას | 2 |
| ანგალტს | 2 |

დანარჩენ თორმეტ სახელმწიფოთაგან თითო დეპუტატია. ყოველს გერმანიელს, რომელიც კი 25 წლისა შესრულდება, აქვს არჩევანის უფლება. ამ უფლებას რასაკვირველია, აქვს იგივე საზღვარი, როგორც სხვა კონსტიტუციებშია მოყვანილი. ამას უნდა დავუმატოთ ერთი შესანიშნავი გარემოება: რეისსტაღის დეპუტატებს ჯამაგირი არა აქვთ დანიშნული. ამის გამო ღარიბის ხალხისათვის არჩევანით წარმომადგენლობა სრულებით ფუჭია, რადგანაც ღარიბთა არავითარი შეძლება არა აქვსთ, გაგზავნონ რეისსტაღში თავისი მოძმე ღარიბი კაცი თავისის კეთილმდგომარეობის დასაცველად. რეისსტაღის კრებაში ყველას შეუძლიან დაესწროს. კანონთ-მდებელი თაოსნობა ეკუთვნის როგორც მოზავეთა საბჭოს, აგრეთვე რეისსტაღს.

ახლა გადავავლოთ თვალი იმპერატორის (რომელიც პრუსიის კოროლია) უფლების თვისებას. რადგანაც გერმანიის იმპერია შედგენილია სხვა და სხვა სახელმწიფოთაგან, რომლებსაც თავ-თავისი მმართებლობითი უფლება უპყრიათ, ამიტომ გერმანიის იმპერატორს არა აქვს ის უფლება, რომელიც ეკუთვნის ცალკე სახელმწიფოს მეუფეებსა. ნამდვილი წარმომადგენელი გერმანიისა არის მოზავეთა საბჭო, ე. ი., სხვა და სხვა გერმანიის სახელმწიფოთა წარმომადგენელთა კრება. მთავრობითი უფლება ეკუთვნის როგორც ამ კრებას, აგრეთვე იმპერატორსაც. იმპერატორს, მაგალითებრ, არა აქვს უფლება უარ-ჰყოს იგი კანონი, რომელიც დააწესა რეისსტაღმა და მოზავეთა საბჭომ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თუმცა კანონით ეს ასეა, თუმცა კანონის ძალით იმპერატორის უფლება განსაზღვრულია, მაგრამ ნამდვილად კი იმპერატორს რაც უნდა, იმასა იქმს, რადგანაც არც მოზავეთა საბჭოს, არც რეისსტაღს არა ვითარი ღონისძიება არა აქვთ, კონსტიტუციით მინიჭებული, ძალა დაატანონ იმპერატორს უსათუოდ დაამტკიცოს და მოქმედებაში მოიყვანოს მათ მიერ დაწესებული კანონი. იმპერატორს ყოველთვის შეუძლიან თქვას, რომ იგი კანონი კონსტიტუციის წინააღმდეგიაო, და ამის გამო იგი კანონი უქმად დარჩეს და არ გამოცხადდეს. აღმასრულებელს უფლებას ჰყავს მარტო ერთი პირი, კანცლერი, რომელიც პასუხის მგებელია რეისსტაღისა და მოზავეთა საბჭოს წინაშე. მთელი გერმანიის ლაშქართ მთავარი არის იმპერატორი, რომელსაც ხელთ უპყრია გერმანიის სამხედრო ძალა. ამით პრუსიას ეძლევა უპირატესი მნიშვნელობა მთელს იმპერიაში.

მაინც მთელი გერმანიის კონსტიტუცია ისეთ ნაირად არის შედგენილი, თითქო მარტო პრუსიისათვის იყოს დანიშნულიო. მეტადრე გერმანიის კანცლერს (ამ ჟამად ბისმარკს) აუარებელი უფლება აქვს მინიჭებული.

ერთი ფრანციელი მწერალი შერბულიე, ამბობს, რომ გერმანიის კონსტიტუცია ერთის კაცის მიერ და ერთი კაცისათვის არის დადგენილიო. მართალიც არის.

რადგანაც ყოველს მთავრობის მოქმედებაში პასუხის გამცემი რეისხტაღისა და მოზავეთ საბჭოს წინაშე მხოლოდ კანცლერია, მაშასადამე მასზედ არის დამყარებული მთელი იმპერიის გამგეობა. ყოველს განკარგულებას იმპერატორისას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, როდესაც კანცლერს უწერია მასზედ ხელი. მაშასადამე, კანცლერი ვითომც საზღვარს უდებს იმპერატორის უფლებასა.

გერმანიის დიდება დამყარებულია სამხედრო ძალაზე. სამხედრო სამსახური ყველასათვის აუცილებელია. სამსახურის ვადა 12 წლიწადია: 3 წელიწადი მოქმედ ლაშქარში, 4 წელიწადი რეზერვში და 5 წელიწადი ლანდვერში. ვინც ლანდვერშია ითვლება მშვიდობიანობის დროს დროებით დათხოვნილნი არიან სამსახურიდგან, და ხუთის წლის განმავალობაში მხოლოდ ორჯელ გამოიწვევიან სამხედრო წესისა და რიგის შესასწავლებლად. ყოველი კაცი, რომელიც კი არ ითვლება არც ერთ ამ ლაშქრის განყოფილებაში, ირიცხება ლანდშტურმში, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოდის ლაშქრათ, როდესაც სახელმწიფოში მტერი შემოვა. მშვიდობიანობის დროს გერმანიის ჯარის რიცხვი ადის 418,670-მდე. ომიანობის დროს კი 1,315,634 კაცი შეუძლიან გერმანიას გამოიყვანოს. გერმანიის შემოსავალ-გასავალი 150 მილიონამდეა. გერმანიაში არის ოცი (20) უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს თოთხმეტ ათასამდე (14,000) სტუდენტი. არის სამას თვრამეტი (318) გიმნაზია. საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი ას ოთხმოცი ათასია (180,000). სამოცი ათასი (60,000) სახალხო სასწავლებელია; მათში მოსწავლეთა რიცხვი ექვსი მილიონია (6,000,000); ათას რვაას ოცდა თვრამეტი (1,838) საპოლიტიკო გაზეთი იბეჭდება და ათას ექვსას რვა (1,608) სხვა და სხვა დრო-გამოშვებითი ჟურნალი.

---

## ქალაქის სცენები

ერთის დღის აღწერისა 1876 წ.

### III. *)

(ქუჩის კარებში შუახნის დედაკაცი ზის, წინდას ქსოვს.)

— ნება მიბოძეთ თქვენს სახლში შესვლისა.

— ვიღაც ოხერი ხარ, ჩემს სახლში რა ხელი გაქვს? წადი, გაეთრიე შენ გზაზედ!

— მთავრობის ბძანებით ყველა სახლები და ოჯახები უნდა ავწეროთ. მე აღმწერი გახლავარ.

— წადი, წადი შენ გზაზედა მეთქი, კარის ღრუბლსაც ვერა ნახამ.

— არ შეიძლება, ბატონო; წინააღმდეგობას ნუ ინებებთ, უეჭველათ უნდა დაგწეროთ.

— დაწერ-მაწერისა არა ვიცი რა! გასწი შენ შენს გზაზედა მეთქი, თორემ ასე კი ნუ მიყურებ, დედაკაციაო, შენისთანა პანკვლიანებისთვის შავი დღე დამიყენებია.

— ბატონო, გნებავთ პოლიცია დავიბარო და ისე აგწეროთ?

— პოლიცია მოვიყვანოვო! ოჰ, ოჰ, ოჰ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა შენის პოლიციითა. შენ ვინ ოხერი ხარ, რომ პოლიციით მოდიხარ? ორმოც-და-ათი წლის დედაკაცი ვარ, ჩემ კარზე არავინ არ მამდგარა. ახლა შენ მომდგომიხარ თარხან კაცს და მემუქრები კიდეცა? შენ ვინა ბძანდები ჰა? სამი გასათხოვარი ქალი შინ მიზის, სახლში მივარდები? დაიკარგე აქედამ, თორემ მთელ ქუჩას თავს დაგახვევ და ერთ ბეაბრუობას გაჭმევ.

— ტყვილათა ლაპარაკობთ. ათასიც რომ უარი სთქვათ, უეჭველათ უნდა დაგწეროთ.

— თქვენ უფლება ვინ მოგცათ, თარხან კაცს კარზე მოადგეთ?

— გინდა თარხანი იყვეთ, გინდ არა. რაც უნდა დიდი ჩინის პატრონი იყვეს, ბძანებაა ყველანი უნდა ავწეროთ.

— ახა ღმერთო ჩემო! მაშ თქვენ არ იცით თარხანი რა არის?

— ჩემთვის საჭიროც არ არის.

— მე გაჩვენებთ, თუ საჭირო არ არის, გასათხოვარი ქალები შინ მიზის, სახლში მივარდები თარხან კაცსა და იძახი თარხანი ფეხებზე მკიდიაო? (უძახის ქალს) გოგო, სითარხნის წიგნი მაიტანე. (ამწერს) აი შეგატყობინებ რაცა ვარ და თარხანი რაც არის. აბა წაიკითხე! მაგრამ ხელი იქით; მე დავიჭერ და შენ წაიკითხე, ხელი არ ახლო, თორემ მე ტაცია კაცების წამალი ვიცი.

---

*) № 2 თებერვლისა 1877 წ.

— ტყუილი არ არის კითხვა საჭიროც არ არის.

— არა, ერთი წაიკითხე მაგ ბრქცია თვალებით და მერე მელაპარაკე.

— აჰა ღმერთო ჩემო! მოიტა, მოიტა წავიკითხო: „ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ აღმატებულმან და ღვთივ დამყარებულმან, ღვთივ ცხებით გვირგვინოსანმან იესიან, დავითიან, სოლომონიანმან, ბაგრატიონმან, საქართველოს ტახტისა და სპატრონოს მტკიცეთბლობით მპყრობელმან და მქონებელმან ყაზახისა და ბორჩალუს მჭირავმან მეფეთ მეფემ...

— მეფეთ მეფემაო, გესმის?

— მოითმინეთ და წამაკითხეთ. — ,,თვით კელმწიფემ პატრონმან თეიმურაზ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმა ანახანუმ, პირმშომან და სასურველმა ძის ძემან და უფლისწულმან ბატონისშვილმა ვახტანგ ესე უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გამოსაღები...

— დაკვირდი, როგორა სწერია! უკუნისამდე ხანთა გამოსაღებიო.

— ,,ხანთა და ჟამთა გამოსაღები წყალობის და სითარხნის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენსა დიდათ ერთგულსა და მრავალ გვარათ ჩვენთვის თავდადებით ნამსახურს მოქალაქეს ყმასა ჩვენსა კენკაანთ გიორგის შვილის იოანეს და შვილსა შენსა გიორგის, ფირუზას და ფარემუზას შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა....

— გაიგონე კარგა, მამავალთა შვილისშვილთაო. აი თუ ჩაწერა გინდა, ეს ჩაწერე. კენკაათ რძალი ვარ და სამი ქალიცა მყავს (ამწერი სწერს) აი აგრე.

— ,,ასე რომე, ამას წინათ რომელსაც ქურქჩიბაში ჩვენის პაპისა და მამისთვის უმსახურებია, ყოველის კემწიფისაგან თარხანი ყოფილან და ჩვენც მოვიკითხეთ და როგორადაც ძველადგან კელმწიფების დროში ქურქჩი თარხანი ყოფილიყოს, იმ რიგათ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ასე გათარხნეთ და განგანთავისუფლეთ; არაფერი საჩვენო გამოსაღები არა გეთხოვებოდესრა

— ხედამ, ,,არა" როგორა სწერია? წინა და უკან ორ-ორი წინწკლები უზის, მითომ არაფრისათანა, არა გეთხოვებოდეს.

— ,,არა გეთხოვებოდეს რა. ესე წყალობა გიყავით და გათავისუფლეთ. ერთის იოტის დანაფასევი არაფერი სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოოსრა: არა მალი, არა ხარჯი, არა სატაროლო, არა დუქნის ხარჯი, არა ტიკი და ტომარა, არცა შენს სახლში მდგმური დადგეს, არცა სხვა ხარჯი და საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები ცოტათ თუ ბევრამდინ, ასე რომე ერთის მზისა და წვიმის მეტი თქვენს კარზე არაფერი არა მოდგესრა...

— დაუდგეს ყური ვისაც არ ესმის! გაიგე, ჩემო მოთრეულო ბატონო? ერთის მზისა და მთვარის მეტი თქვენს კარზე არაფერი არა მოდგეს რაო. შენ მობძანებულხარ და სახლში მივარდები! მაგრამ ჯერ გაათავე!

— ბატონო დამაცა თუ მაკითხებ... ,,არაფერი არა მოდგეს რა, არაოდენს არ მოგეშალოს წყალობა და სითარხნე ესე არა ჩვენგან და არა შემდგომთა მეფეთა და მეპარტონეთაგან....

— აკი მობძანებულა ეს ბატონი და შლის! აი მეხი კი დაგაყარე! წაიკითხე, წაიკითხე!

— ,, და მეპატრონეთაგან. გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილა ვეზირნო და მწიგნობარნო...

— მწიგნობარიც თქვენა ბძანდებით და ყურიდამ ბამბა ამოიღე, რო კარგა შეიტყო.

— ,,და მწიგნობარნო და ქალაქის მოურაო, მელიქო, მამასახლისო და ნაცვალო, სხვანო მოსაქმენო წყალობა და ფარმანი ესე თქვენც ასრევ დაუმტკიცეთ და ნურვინ მოუშლით...

— მოშალე რაღა! აბა მოშალე?

— ,,და ნურვინ მოუშლით შეწევნისა და თანამდგომობისგან კიდე...

— აი გესმის? შეწევნა უნდა მამცე მე ქვრივ ოხერსა, და შენ პირიქით გასათხოვარ ქალებთან შინ მივარდები?! წაიკითხე, წაიკითხე.

— ,,თანამდგომობისგან კიდე. დაიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის ედიშერისითა, იანვრის კე გასულს: ქკს ულჰ.

— არა, ჯერ არ გათავებულა. აბა გვერდებზე წაიკითხე! მეფე ერეკლეს დამტკიცებულიც არის და დარეჯან დედოფლისაცა.

— კმარა დედი. მეც მოთმინებიდამ გამომიყვანე მაგდენი ლაპარაკითა! ახლა რო ლაპარაკობ, ჯერ ერთი ესა, რომ მაგ ქაღალდს ძალა აღარა აქვს.

— მაშ შენ დაწერილსა აქვს ძალა რაღა? აი გამიოხრდეს შენი ნაწერი ქაღალდიცა!

— ღმერთო ჩემო! ბატონო, რაზე მალაპარაკებ და ან თავს იტკივებთ? ვთქვათ ძალა აქვს; ამას არა მკითხამთ, რათა და რისთვისა გწერთ?

— არცა გკითხავ და არც საჭიროა. ამ ქაღალდში სწერია ღვთივ გვირგვინოსან მეფეების სიტყვა, რომ შენს კარზე მზისა და მთვარის მეტი არაფრისთანა არა მოდგეს რაო. შენ მობძანებულხარ სახლში მივარდები და იძახი, უნდა ჩაგწეროვო. ამას დაგითმობ?

— ხარჯის გაწერა ხომ არ არის, რომ ხარჯი გამოგერთვას ამ აწერითა? მთავრობას მარტო საცოდნელათ უნდა.

— გინდ ხარჯის გაწერა იყოს, გინდ არა; ჩემთვის სულ ერთია. ხარჯში ჩასაგდები არავინ არა მყავს. ერთი დედა ვარ, სამი გასათხოვარი ქალი მყავს, ნემსის წვერით თავს ვირჩენთ. ვის შეუძლია, დედაკაცს ხარჯი გამოართოს?

— რამდენი წლისანი იქნებიან თქვენი ქალები?

— დახე, დახე ამ ურცხვსა! ქალების წლოვანობასაცა მკითხავს. შენ რაში გეკითხება? რამდენი წლისანიც უნდა იყვნენ, დედაკაცს ხარჯი არ გამოერთმევა. კანონები ჩვენც ვიცით. გასწი გაიარე მეთქი. გაგიგონიანთ, გეთაყვა, ეს რა გადამეკიდა თქვენი ჭირიმე! შენი მეშინიან თუ. ნელა ხარჯი არ გამოგვართვა. უფროსი ქალი ოცდა ორი წლისაა და მეორეები იმის მომდევნონი არიან. წადი, როცა ჩვენგან ხარჯი მოკრიფო, დაიკვეხე.

— ერთი არ იქნება სახლი ვნახო? კედლებს ხომ არ შევჭამ.

— კიდევ არ იშლის გეთაყვა. რას ჩამაცივდა. საქმელი იყოს ერთ ოთახში არ მოვიკუნტები, მდგმურებს დავიყენებდი.

— თქვენი სახელი რა არის?

— გაგიწყდა სახსენებელი! თავს აღარ მანებებს ეს წყეულ-შეჩვენებული! თავიდამ მამშორდი, თორემ მე ეურქჩიანთ ელენეს მეძახიან და მე შენი ოხტიდან მოვალ.

— გავათავე ბატონო, მივდივარ.

— წადი, წადი აგრე. საიდამაც მოთრეულხარ, იქავ წაბძანდი! ხომ გაიგე ახლა, თარხანი რა არის? ბევრი რამ წაიღე, არა?...

ანჩისხატისუბნელი.

(შემდეგი იქნება)

## შენიშვნა.

ჩვენის გაზეთის მეორე ნომერში, მეხუთე გვერდზედ მეთერთმეტე და მეთორმეტე სტრიქონი ქვევიდგან ასე უნდა წაიკითხოთ: აგრეთვე შევიტყეთ, რომ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების სასწავლებელთათვის ახლად დანიშნული ინსპეკტორი


## ი ს ყ ი დ ე ბ ა:

ქალაქს, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებსა და „ივერიის" რედაქციაში,

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გორს, ფარნაოზ ნათიევისას.

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მიროვოპოსრედნიკი)

ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან ფასი . . . . . . . . 20 კ.

ზ. ნ. ანტონოვის თხუზულებან, ფასი 1 მ.

ქართული ანდაზები, ფასი . . . . 10 კ.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა ფასი 60 კ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Марта 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე